თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი N3

17 სექტემბერი 2016 წელი ქ.თეთრიწყარო

ესწრებოდნენ: საბჭოს თავმჯდომარე გიორგი აბულაძე, საბჭოს წევრები ელენე ჩარკვიანი, ნინო მეტრეველი, ციური გონგაძე, იმედა წიკლაური, მარიამ წიკლაური, მარიამ კობახიძე, კახა ნადირაძე, დავით ბეკოშვილი, მარიამ წიკლაური, ქეთევან ბახუტაშვილი და მარიამ ქავთარაძე. საბჭოს 23 წევრიდან ესწრებოდა 12, სხდომა უფლებამოსილიიყო, მიეღო გადაწყვეტილებები. სხდომას ასევე ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები: ზურაბ დალაქიშვილი, ირმა მაჭედლიძე, ნათია ებრალიძე, გიორგი ნადირაძე, ირინე წიკლაური და ნათია ებრალიძე.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი აბულაძე
სხდომის მდივანი: ელენე ჩარკვიანი

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრების წარდგენა
   (მომხსენებელი: გიორგი აბულაძე)
3. ქ.თეთრიწყაროს განვითარებისათვის საჭირო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ
   (მომხსენებელი: გიორგი აბულაძე)
4. ქ.თეთრიწყაროში თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში შემუშავებული საპროექტო წინადადებების განხილვა
   (მომხსენებლები: გიორგი აბულაძე და მარიამ წიკლაური)

1.მოისმინეს: გიორგი აბულაძემ დამსწრეებს მოახსენა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, საბჭოს უნდა ჰყავდეს მდივანი. მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, მდივნად აერჩიათ ელენე ჩარკვიანი. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად ელენე ჩარკვიანის არჩევის წინადადებით.

კენჭისყრის შედეგები: ელენე ჩარკვიანი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ელენე ჩარკვიანი.

2.მოისმინეს: გიორგი აბულაძემ დამსწრეებს მოახსენა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანებაში შეიტანა ცვლილება და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ორი ახალი წევრი შეემატა: კახა ნადირაძე და მარიამ წიკლაური. მან მოკლედ დაახასიათა საბჭოს ახალი წევრები და წარმატებები უსურვა მათ.

3.მოისმინეს: გიორგი აბულაძემ დამსწრეებს მოახსენა, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 05/09/2011 N71/ო ბრძანებით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილია 2710 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 84.01.39.024), რომელზეც მდებარეობს ისტორიული „თეთრი წყაროს“ საუკუნოვანი შადრევანი და მიმდებარე სკვერი, რომელიც ჩვენი ქალაქის სიმბოლოა და მის ერთგვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, რამდენადაც თეთრიწყაროს სახელდება ისტორიულად ამ წყაროს წყლის რძისფერი შეფერილობის გამო მოხდა. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა, გამგებლის მოადგილის ერეკლე კუხიანიძის 23/02/2016 N370-13 წერილით მიმართა სამინისტროს თხოვნით, ამ ნაკვეთის 712 კვ.მ. ფართის ნაწილი, რომელზეც ზემოაღნიშნული შადრევანი და სკვერია, ცალკე საკადასტრო ნაკვეთად გამოყოფილიყო, ამოეღოთ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალიდან და გადაეცათ სახელმწიფოსთვის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მისი გადმოცემის მიზნით, რომ მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა მისცემოდა, მოეხდინა ამ ისტორიული ადგილის სათანადო რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ამ თხოვნაზე თანხმობა განაცხადა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ (წერილი N3832/1 03/06/2016), მაგრამ პროცესი შეყოვნდა. „მწვანე კავკასიამ“ 09.08.2016 #23 წერილით მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, დაჩქარებულიყო საკითხის გადაწყვეტა და სამინისტრო გამოხატავს თანხმობას, აღნიშნული ნაკვეთი გადასცეს საკუთრებაში სახელმწიფოს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის მისი გადაცემის მიზნით. გარდა ამისა, სახელმწიფოს საკუთრებაშია ქალაქის ცენტრში არსებული სარეკრეაციო ტერიტორია, რომელიც რეგისტრიებულია ორ ნაკვეთად: ჭავჭავაძის ჩიხსა და ფარნავაზის ქუჩებს შორის მდებარე ყოფილი ხელოვნური წყალსაცავის ქვაბული - 22000 კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი - (საკადასტრო კოდი 84.01.35.224), და ჭავჭავაძის ჩიხსა და რუსთაველის ჩიხს შორის მდებარე 4200 კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 84.01.35.225) - ყოფილი წყალსაცავის მიმდებარე სკვერი წიწვოვანი ხეებით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეს ტერიტორია კანონით მუნიციპალიტეტის საკუთრება უნდა იყოს, რომ შესაძლებელი იყოს მომავალში ამ ტერიტორიების რეაბილიტაცია, მათი თავდაპირველი დანიშნულებით - სარეკრეაციო ადგილებად გამოყენების მიზნით.

აზრი გამოთქვეს: სამოქალაქო საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ აღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა არის საჩქარო, რომ შესაძლებელი იყოს შესაბამისი სარეაბილიტაციო პროექტების დროული დაგეგმვა და განხორციელება მუნიციპალიტეტის მიერ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციის მიცემის წინადადებაზე, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში არსებული 2710 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 84.01.39.024) გამოყოფილი 712 კვ.მ. ნაკვეთის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში მყოფი 22000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 84.01.35.224) და 4200 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 84.01.35.225) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხი დაყენებულ იქნას სახელმწიფოს წინაშე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-ყველა დამსწრე წევრი, წინააღმდეგი არ ყოფილა.

დაადგინეს: მიეცეს რეკომენდაცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს, მიმართოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქ.თეთრიწყაროს ტერიტორიაზე არსებული შემდეგი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადმოცემა:

1) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში მყოფი 2710 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 84.01.39.024) გამოყოფილი 712 კვ.მ. ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობს ისტორიული შადრევანი „თეთრი წყარო“ და მიმდებარე სკვერი;
2) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში მყოფი 22000 კვ.მ. ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 84.01.35.224) რომელზეც მდებარეობს ყოფილი ხელოვნური წყალსაცავის ქვაბული;
3) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაში მყოფი 4200 კვ.მ. ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 84.01.35.225) რომელზეც მდებარეობს ყოფილი წყალსაცავის მიმდებარე სკვერი წიწვოვანი ხეებით.

4.მოისმინეს: გიორგი აბულაძემ დამსწრეებს მოახსენა ქ. თეთრიწყაროს ცენტრალური უბნების მუნიციპალური ორგანოებისა და საზოგადოების მიერ ერთობლივი, თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის შესახებ, რომელიც ქვეყანაში პირველად ხორციელდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“ ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და საზოგადოება ვთანხმდებით ქალაქ თეთრიწყაროს სივრცითი განვითარების ხედვაზე, რომ ქალაქის აღორძინებისათვის მნიშვნელოვანია მისი საკურორტო-ტურისტული პოტენციალის გამოყენება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, ბოლო ათწლეულებში იავარქმნილი ცენტრალური უბნების კეთილმოწყობაა საჭირო, რომ ის დამსვენებლებისა და პოტენციური ინვესტორებისათვის მიმზიდველი გახდეს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სამუშაო ჯგუფებში გამოითქვა რამდენიმე წინადადება, როგორებიცაა ყოფ. კომისარიატის შენობაში ქალაქის მუზეუმის შექმნა, თეატრის აშენება, ყოფ. პროკურატურის შენობაში ახალგაზრდული ცენტრის გახსნა და სხვ. სამუშაო ჯგუფებში მიმდინარეობდა მსჯელობა, პირველ რიგში რომელი მათგანის განხორციელება

იქნება ბიძგის მიმცემი ქალაქის განვითარებისათვის და გამოიკვეთა ჭავჭავაძის, რუსთაველის ჩიხებსა და ფარნავაზის ქუჩებს შორის მდებარე ამჟამად უფუნქციო 26200 კვ.მ ფართზე, სადაც ყოფილი ხელოვნური წყალსაცავის ქვაბული და მისი მიმდებარე წიწვოვანი სკვერია, სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაციის წინადადება. ქალაქის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, აღდგეს ამ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა, ხელოვნური წყალსატევის („ტბა“) ჩათვლით.

სამუშაო ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებები დაამუშავა არქიტექტორმა მარიამ წიკლაურმა და მას მიეცა საპროექტო წინადადების სახე. პროექტის მიახლოებითი ღირებულება 600-650 ათას ლარს შეადგენს, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, 2017-2019 წლების განმავლობაში: I ეტაპზე - ხელოვნური წყალსატევისათვის წყალარინების სისტემის შექმნა 500 მ-მდე საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობით, რომელიც გადაეცემა შემდგომში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას და შესაძლებლობას მისცემს, კოლექტორში ჩართოს მიმდებარე ქუჩების (ფარნავაზისა და ჭავჭავაძის ქუჩები, ჭავჭავაძისა და რუსთაველის ჩიხები) მოსახლეობა და ობიექტები, რომელთაც ამჟამად არ გააჩნიათ საკანალიზაციო ქსელი, II ეტაპზე - წყალსატევის გარშემო 400 მ-მდე სიგრძისა და 3 მ-მდე სიგანის ბულვარის მშენებლობა, 4200 კვ.მ. ფართობზე სკვერის კეთილმოწყობა და პარკინგის გაკეთება, გარე განათების დამონტაჟება; III ეტაპზე - წყალსადენის შევსებისათვის ჭაბურღილის მოწყობა და წყალსატევის შევსება.

ქალაქს აკლია სანახაობრივი სარეკრეაციო ზონები, რომლებიც მიმზიდველი იქნებოდა ინვესტორებისათვის სასტუმროებისა და კვების ობიექტების ასაშენებლად. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის სპეციალისტებისგან მიღებული რჩევების გათვალისწინებით, ამგვარი პროექტის განხორციელება მიზანშეწონილია საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით: მუნიციპალიტეტს საშუალება მიეცემა, ტერიტორიის ნაწილი გაითვალისწინოს ინვესტორ(ებ)ის მოსაზიდად, რომელიც აქ ააშენებს სასტუმროს და რესტორანს. შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებით ინვესტორს სამართავად გადასცეს მთლიანი ტერიტორია, მოსახლეობის, დამსვენებლებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის სარეკრეაციო ზონითა და წყალსატევით სარგებლობაზე რაიმე შეზღუდვებისა და საფასურის დაწესების დაუშვებლობის პირობით, რითაც ადგილობრივი ბიუჯეტი აიცილებს წყალსატევისა და სკვერის მოვლა-პატრონობის, რემონტის, წყალსატევით სარგებლობისას უსაფრთხოების წესების დაცვისა და გარე განათებაზე გასაწევ ხარჯებს, ამასთანავე, მიიღებს შემოსავლებს ინვესტორის მიერ აშენებული ობიექტებიდან ქონების გადასახადის სახით. შეიქმნება სამუშაო ადგილები, ფერმერები შეძლებენ ადგილზე გაყიდონ საკუთარი პროდუქცია. რამდენადაც პროექტი შეესაბამება ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მე-9 და მე-10 მიზნების ამოცანებს, მის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა დაფინანსება შეიძლება მიიღოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო საკუთარი ბიუჯეტიდან დაეხარჯება 15-18.000 ლარამდე პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებაზე და პროექტის ღირებულების 5% - თანადაფინანსებაზე.

მარიამ წიკლაურმა მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და დამსწრე საზოგადოებისათვის მოახდინა მის მიერ დამუშავებული საპროექტო წინადადების პრეზენტაცია სლაიდ-შოუს სახით, სადაც ვიზუალურად იქნა ნაჩვენები სარეკრეაციო ზონის ხედები რეაბილიტაციისა და ინვესტიციის განხორციელების შემდეგ. მან აღნიშნა, რომ პროექტს არ ექნება ნეგატიური ეფექტები, მშენებლობის პერიოდში გამოწვეული ქუჩით სარგებლობის დროებითი შეფერხებისა და სამშენებლო ხმაურის გარდა: წყლის დონე წყალსატევში და წყლის დამწრეტი საკანალიზაციო მილი არ იქნება ისეთ ნიშნულზე მაღლა, რომ მიწისქვეშა წყლების დონის აწევით გამოიწვიოს მიმდებარე სახლების სარდაფების დატბორვა, ხოლო მისი ზედაპირის მცირე ფართობი არ გამოიწვევს კლიმატის ლოკალურ ცვლილებებს.

აზრი გამოთქვეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრმა და დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვეს მოსაზრებები საპროექტო წინადადების თაობაზე, კერძოდ, მათ აღნიშნეს ის მოსალოდნელი სარგებელი, რასაც მიიღებს ქალაქი პროექტის განხორციელებით: კეთილმოეწყობა ქალაქის ცენტრალური უბნის აუთვისებელი ტერიტორია, გაიზრდება დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობა, გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლებიც სარგებელს მიიღებენ საოჯახო სასტუმროების განვითარებით, სასტუმროსა და კვების ობიექტების მომარაგებითა და ვაჭრობით, გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა ცენტრალური ქუჩების საკანალიზაციო კოლექტორში ჩართვის შესაძლებლობის შექმნით, სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის შეიქმნება დასახლების ცენტრში მდებარე, მოსახერხებელი წყალაღების რეზერვუარი. ინვესტიციის განხორციელება ქალაქში გააჩენს სამუშაო ადგილებს, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების შეჩერებას და ქალაქის აღორძინებას მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საპროექტო წინადადების „სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში“ მოწონებისა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მისი წარდგენის წინადადებაზე.

კენჭისყრის შედეგები: საპროექტო წინადადება „სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში“ მოწონებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას საპროექტო წინადადება „სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში“ (დანართი N1, 5 გვ.) და წარედგინოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებში გასათვალისწინებლად.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი აბულაძე

სხდომის მდივანი: ელენე ჩარკვიანი

პროექტის აღწერის ფორმა

<u>პუნქტები 1-10 ივსება მუნიციპალიტეტის მიერ</u>

1. **<u>თეთრიწყაროს</u> მუნიციპალიტეტი**

2. **<u>პროექტის დასახელება</u>**

სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქ.თეთრიწყაროს ცენტრალურ უბანში

3. **<u>თემატური მიმართულება</u>**

ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

4. **<u>სტრატეგიასთან კავშირის აღწერა</u>**

სტრატეგიული მიზანი 9: ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება

სტრატეგიული ამოცანა 9.1: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
სათანადო ხარისხისა და რაოდენობის სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, კემპინგის პუნქტების, განათების სისტემების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების, მანქანების პარკირებისა და სუვენირების მაღაზიების მოწყობის წახხალისება-ხელშეწყობა ტურისტული ღირსშესანიშნაობების გარშემო
სტრატეგიული ამოცანა 9.2: პროგრამული ინიციატივების და მათი განხორციელების მხარდაჭერა
ახალი ტურისტული პოტენციალის მქონე ობიექტების გამოვლენა
მზა საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება ინვესტორებისათვის

სტრატეგიული მიზანი 10: კომუნალური და სხვა მომსახურების მოწესრიგება
სტრატეგიული ამოცანა : მუნიციპალურ ცენტრებში, დაბებსა და საკურორტო დასახლებებში საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების აშენება

5.პროექტის აღწერილობა

2016 წელს მუნიციპალიტეტის მიერ, ა/ო „მწვანე კავკასიას“ ინიციატივითა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით პირველად საქართველოში განხორციელდა ქალაქის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“ ფარგლებში, რომლის შედეგად იქნა შემუშავებული წინამდებარე საპროექტო წინადადება.

ქ.თეთრიწყარო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია, მაგრამ ბოლო ათწლეულებში ქალაქის განვითარება არ ხდება და 2002-დან 2014 წლამდე პერიოდში მისი მოსახლეობა 23%-ით შემცირდა. თეთრიწყაროს ზომიერად გრილი ჰავა და მთის ეფექტური ლანდშაფტი, თბილისის, რუსთავისა და მარნეულის სიახლოვე მას მაღალ საკურორტო-ტურისტულ პოტენციალს ანიჭებს, რომელიც გამოუყენებელია ქალაქში ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, კერძოდ, ქალაქს აკლია სანახაობრივი სარეკრეაციო ზონები, რომლებიც მიმზიდველი იქნებოდა ინვესტორებისათვის სასტუმროებისა და კვების ობიექტების ასაშენებლად.

იმავდროულად, ქალაქის ცენტრალურ უბანში: ფარნავაზისა და ჭავჭავაძის ქუჩების, ჭავჭავაძისა და რუსთაველის ჩიხების მოსახლეობას არ გააჩნია საკანალიზაციო ქსელი, ხოლო ამ ქუჩებს შორის, ჭავჭავაძის ჩიხის გასწვრივ მოქცეულია 26.200 კვ.მ. საერთო ფართობის გასულ საუკუნეში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორია - ხელოვნური წყალსატევის („ტბა“) ქვაბული (საკადასტრო კოდი 84.01.35.224), მისი მიმდებარე მცირე წიწვოვანი სკვერით (საკადასტრო კოდი 84.01.35.225). ტერიტორია ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაშია, გამოუყენებელი და სრულიად უფუნქციოა.

ქალაქის თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, აღდგეს ამ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა, ხელოვნური წყალსატევის („ტბა“) ჩათვლით, რაც მისცემს მუნიციპალიტეტს საშუალებას მისი ტერიტორიის ნაწილი გაითვალისწინოს საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით ინვესტორ(ებ)ის მოსაზიდად, რომელიც ააშენებს სასტუმროს და რესტორანს.

მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის განხორციელება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, 2017-2019 წლების განმავლობაში: I ეტაპი - ხელოვნური წყალსატევისათვის წყალარინების სისტემის შექმნა 500 მ საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობით, რომელიც გადაეცემა შემდგომში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას და შესაძლებლობას მისცემს, კოლექტორში ჩართოს ზემოაღნიშნული მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა და ობიექტები. II ეტაპი - წყალსატევის გარშემო 400 მ სიგრძისა და 3 მ სიგანის ბულვარის მშენებლობა, 4200 კვ.მ. ფართობზე სკვერისა და პარკინგის კეთილმოწყობა, გარე განათების ჩათვლით; III ეტაპი - წყალსადენის შევსებისათვის ჭაბურღილის მოწყობა და წყალსატევის შევსება.

იმავდროულად, პროექტის განხორციელების პერიოდში, მუნიციპალიტეტი მოახდენს ინვესტორის მოძიებას პროექტით გათვალისწინებული სასტუმროსა და რესტორნის მშენებლობისათვის, რომელსაც მიჰყიდის მშენებლობისათვის საჭირო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართს და საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებით სამართავად

გადასცემს დანარჩენ ტერიტორიას, მოსახლეობის, დამსვენებლებისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის სარეკრეაციო ზონითა და წყალსატევით სარგებლობაზე რაიმე შეზღუდვებისა და საფასურის დაწესების დაუშვებლობის პირობით.

პროექტის განხორციელებით მიეცემა ბიძგი ქალაქის განვითარებას, ხელი შეეწყობა ამ მაღალმთიანი დასახლებიდან მიგრაციული პროცესების შეჩერებას და მიღებულ იქნება შემდეგი მოსალოდნელი სარგებელი:

- კეთილმოეწყობა ქალაქის ცენტრალური უბნის აუთვისებელი ტერიტორია;
- გაიზრდება დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლებიც სარგებელს მიიღებენ საოჯახო სასტუმროების განვითარებით, სასტუმროსა და კვების ობიექტების მომარაგებითა და ვაჭრობით;
- გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა ქალაქის ცენტრალური ქუჩების საკანალიზაციო კოლექტორში ჩართვის შესაძლებლობის შექმნით;
- სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის შეიქმნება დასახლების ცენტრში მდებარე, მოსახერხებელი წყალაღების რეზერვუარი.

ამასთანავე, პროექტს არ ექნება რაიმე ნეგატიური ეფექტები, მშენებლობის პერიოდში გამოწვეული ქუჩით სარგებლობის დროებითი შეფერხებისა და სამშენებლო ხმაურის გარდა, წყლის დონე წყალსატევში და წყლის დამწრეტი საკანალიზაციო მილი არ იქნება ისეთ ნიშნულზე მაღლა, რომ მიწისქვეშა წყლების დონის აწევით გამოიწვიოს მიმდებარე სახლების სარდაფების დატბორვა, ხოლო მისი ზედაპირის მცირე ფართობი არ გამოიწვევს კლიმატის ლოკალურ ცვლილებებს.

პროექტის განხორციელების შემდეგ, ტერიტორიის მართვის საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებით ინვესტორისათვის გადაცემის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აიცილებს წყალსატევისა და სკვერის მოვლა-პატრონობის, რემონტის, წყალსატევით სარგებლობისას უსაფრთხოების წესების დაცვისა და გარე განათებაზე გასაწევ ხარჯებს.

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე, წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს, ხოლო ხანძრის ჩასაქრობად მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროებიდან წლის ნებისმიერ დროს სახანძრო ტექნიკით წყლის აღებისათვის პირობების შექმნა, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებაა.

პროექტის მიზნობრივი ჯგუფია ქ.თეთრიწყაროს მოსახლეობა (3093 მცხოვრები), ტურისტები და დამსვენებლები, სახანძრო-სამაშველო სამსახური, პერსპექტივაში - მიმდებარე სოფლების ფერმერული მეურნეობები.

6. <u>სავარაუდო ღირებულება</u>

620.000 ლარი

7. <u>პროექტის ხანგრძლივობა</u>

პროექტის დაწყების თარიღი	პროექტის დასრულების თარიღი	პროექტის ხანგრძლივობა (თვეებში)
06.2017	05.2019	24 თვე

8. <u>დაფინანსების წყაროები (პროცენტული წილი)</u>

რგპფ	მგფ	მუნიციპალიტეტი	სამინისტრო (დასახელება)	დონორი (დასახელება)
95%	%	5%	%	%

9. <u>პროექტზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო</u>

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

10. <u>პარტნიორი ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში)</u>

<u>პუნქტები (11-13) ივსება სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი ანალიზის საფუძველზე</u>

11. <u>პირველი დონის ფილტრი (თუნდაც ერთი „არა“-ს შემთხვევაშიც მეორე ფილტრის ანალიზი აღარ ხდება)</u>

კრიტერიუმი	პასუხი	კრიტერიუმი	პასუხი
პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ხედვებთან, საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის ამოცანებთან ან რეგიონული განვითარების პროგრამაში ასახულ, სულ ცოტა, ერთ საჭიროებასა და პრიორიტეტთან	კი	პროექტის განხორციელება არ იწვევს ეკონომიკური აქტივობის არსებით შემცირებას	კი
პროექტი ექცევა საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების (საკუთარი ან დელეგირებული) ფარგლებში	კი	პროექტის განხორციელება არ ახდენს უარყოფით გავლენას მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე	კი
პროექტი ემსახურება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესებას, ეკონომიკის განვითარებას, სოციალური პირობების, ეკოლოგიური მდგომარეობის, ჯანდაცვის, განათლების, საზოგადოებრივი მომსახურების სხვა სფეროების გაუმჯობესების გზით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას	კი	პროექტი არ ახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას გარემოზე	კი
ადგილი არ აქვს სხვა პროგრამებისა და აქტივობების დუბლირებას	კი	დასაფინანსებელი პროექტის განხორციელების ვადა სამ წელზე მეტი არ არის	კი

კრიტერიუმი	პასუხი	კრიტერიუმი	პასუხი
პროექტის დასრულების შემდეგ არსებობს მისი მართვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიღების შესაძლებლობა	კი	დასაფინანსებელი პროექტის ღირებულება არ არის 50 000 ლარზე ნაკლები და არ აღემატება 5 მილიონ ლარს	კი

12. <u>მეორე დონის ფილტრი (პროექტის ხარისხობრივი შეფასება)</u>

კრიტერიუმი	ქულა A (1-დან 5 ქულამდე)
შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა	
მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი	
მოსალოდნელი სოციალური ეფექტი	
გარემოზე ზემოქმედება	
წინა პროექტებთან კავშირის არსებობა	
სხვა პროექტებთან პროგრესული კავშირის არსებობა	
პროექტის მასშტაბი	

13. <u>პროექტის ქულა</u>

ფილტრი #1 (8 დიახ)	ფილტრი #2–ის ქულა